ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

ბრძანება №2761016

ნომერი: AR1428653

თარიღი : 02.08.2016

გაცემის თარიღი : 05.08.2016

გაცნობის თარიღი : 18.08.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა არტურ ლაისტი , N 5 ;

დამკვეთი-განმცხადებელი

- რატი ჩომახიძე პ/ნ 01026006781
- თბილისი პლ.იოსელიანის ქ. N 19

ნომენკლატურა :

- სამართლებრივი საკითხები
- ტექნიკური ხარვეზის გასწორება ადმინისტრაციულ - სამართლებრივ აქტში

ვბრძანებ

ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 12 ივლისის #ნ/440 მშენებლობის ნებართვაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ – ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურს 2016 წლის 02

აგვისტოს #AR1428653 განცხადებით მომართეს რატი ჩომახიძემ, მერაბი ბაღათურიამ და თორნიკე აბულაძემ. განმცხადებლებმა მოითხოვეს ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 12 ივლისის #ნ/440 მშენებლობის ნებართვაში ტექნიკური შეცდომის გასწორება საპროექტო ობიექტის მისამართის მითითების ნაწილში.

სამსახურმა, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 96–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად, შეისწავლა საქმისათვის არსებითი მნიშვნელობის მქონე გარემოებები და დაადგინა, რომ ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 23 მაისის #20/394 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში, მეგობრობის პარკის დასაწყისში შპს „ორთაჭალის ტურფა“-ს საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 01.11.2005 წ. #21/614 ბრძანებით შეთანხმებული შპს „ორთაჭალის ტურფა“-ს განაშენიანების პროექტის (განაშენიანების რეგულირების გეგმა) საფუძველზე #2, #5, #7 და #9 კორპუსების არქიტექტურული პროექტი. ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის მიერ 2006 წლის 12 ივლისს, ზემოაღნიშნულ მისამართზე, გაიცა #ნ/440 მშენებლობის ნებართვა. აღნიშნულ ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ–სამართლებრივ აქტში შეცდომით იქნა დაფიქსირებული მიწის ნაკვეთის მისამართი, კერძოდ: ქ. თბილისი, მეგობრობის პარკის დასაწყისის ნაცვლად მიეთითა ქ. თბილისი, დ. გურამიშვილის გამზირი #78.

სამსახურში წარმოდგენილი საჯარო რეესტრის ამონაწერით (განცხადების რეგისტრაციის: #13076/2006, მომზადების თარიღი: 20.03.2006 წ., ს/კ: #01/17/14/3/3 და განცხადების რეგისტრაციის: #13075/2006, მომზადების თარიღი: 20.03.2006 წ., ს/კ: #01/17/14/3/4) ირკვევა, რომ მიწის ნაკვეთი მდებარეობს ქ. თბილისი, მეგობრობის პარკის დასაწყისში.

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტში ტექნიკური შეცდომის გასწორების უფლება აქვს მის გამომცემ ადმინისტრაციულ ორგანოს.

შესაბამისად, სამსახურმა მიზანშეწონილად მიიჩნია დაეკმაყოფილოს განმცხადებლების მოთხოვნა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 12 ივლისის #ნ/440 მშენებლობის ნებართვაში ტექნიკური შეცდომის გასწორების თაობაზე.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 59-ე მუხლის თანახმად,

ვბრძანებ:

1. გასწორდეს ტექნიკური შეცდომა ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 12 ივლისის #ნ/440 მშენებლობის ნებართვაში, კერძოდ: მიწის ნაკვეთის მისამართად დაფიქსირდეს – ქ. თბილისი, მეგობრობის პარკის დასაწყისი;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნას ქ. თბილისის მერიის ურბანული დაგეგმარების საქალაქო სამსახურის 2006 წლის 12 ივლისის #ნ/440 მშენებლობის ნებართვასთან ერთად;
3. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის მერთან (მის.: ქ. თბილისი, შარტავას ქუჩა #7), კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური წესით გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.